ახალი უმაღლესი სასწავლებელი
ნიუუნი

NEW HIGHER EDUCATION INSTITUTE
NEWUNI

სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დებულება

ახალი უმაღლესი სასწავლებელი - „ნიუუნი“

შინაარსი:

მუხლი 1. ზოგადი დებულებები **2**
მუხლი 2. ცენტრის ამოცანები, მიზნები და ფუნქციები **2**
მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა **3**

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1 ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუუნის (შემდგომში - სასწავლებლის) სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგენს სასწავლებლის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობის, სასწავლებლის სამართლებრივი აქტებისა და წინამდებარე დებულების მიხედვით.

1.2 ცენტრი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ანგარიშვალდებულია სასწავლებლის რექტორის მოადგილისა და აკადემიური საბჭოს წინაშე, ასრულებს კანონის საფუძველზე რექტორის მოადგილისა და აკადემიური საბჭოს მიერ დაკისრებულ მოვალეობებს.

1.3 დებულება განსაზღვრავს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სამსახურის სტრუქტურას, საქმიანობის ძირითად მიმართულებებსა და ფუნქციებს.

მუხლი 2. ცენტრის ამოცანები, მიზნები და ფუნქციები

2.1 ცენტრმა, სასწავლებლის განვითარების სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, ხელი უნდა შეუწყოს სასწავლებლის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის ზრდას, სამეცნიერო კარიერისა და ახალგაზრდა თაობისათვის მეცნიერების პოპულარიზაციას, საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან ურთიერთობის დამყარებასა და თანამშრომლობას, ახალი სამეცნიერო კონტაქტების დამყარებას.

2.2 ცენტრის მიზნებია და ამოცანებია:

- სამეცნიერო-კვლევითი პროცესისათვის ხელშეწყობა;
- სასწავლებლის პერსონალისათვის სახელმწიფო და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდების შესახებ ინფორმაციის გაცნობა და ამ საკითებთან მიმართებაში ტრენინგებისა და კონსულტაციების ჩატარება;
- კონსულტაციებისა და ტრენინგების ჩატარების უზრუნველყოფა მეცნიერების მართვის საკითხებში;
- სამეცნიერო კვლევების განვითარების, პოპულარიზაციის მიზნით, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ურთიერთობის დამყარება ;
- ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსების საერთაშორისო ქსელში სასწავლებლის ჩართვის ხელშეწყობა;
- სასწავლებელში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, სემინარების, საზაფხულო სკოლების ორგანიზება და მათი ხელშეწყობა;
- კვლევით/შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია;
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით საქმიანობაში.

2.3 ცენტრის ფუნქციებია:

ა) სამეცნიერო ფონდებთან ურთიერთობების კოორდინაცია;

ბ) ცენტრის კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან, სხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობა;

გ)ქართულ და საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან, ასევე არასაუნივერსიტეტო სამეცნიერო ცენტრებთან სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და განვითარება;

დ) სასწავლებელში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგების ანალიზის საფუძველზე პერიოდული ანგარიშების მომზადება და წარდგენა სასწავლებლის რექტორისათვის;
ე) სასწავლებლის პერიოდული საერთაშორისო რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალის გამოცემის ორგანიზების მხარდაჭერა;
ვ) ქართულ და უცხოურ უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო ცენტრებთან მემორანდუმებისა და ხელშეკრულებების მომზადება;

მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა

3.1 ცენტრი წარმოადგენს სასწავლებლის ადმინისტრაციული ერთეულს, რომლის სტრუქტურაში შედიან: ცენტრის უფროსი, კვლევებისა და პერიოდული გამოცემების კოორდინატორი, მთავარი სპეციალისტი და სპეციალისტი.
3.2 ცენტრს ხელმძღვანელობს ცენტრის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სასწავლებლის რექტორი.
3.3 მთავარ სპეციალისტსა და სპეციალისტს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სასწავლებლის რექტორი, ცენტრის უფროსის წარდგინებით.
3.4 კვლევებისა და პერიოდული გამოცემების კოორდინატორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სასწავლებლის რექტორის მოადგილე, ცენტრის უფროსის წარდგინებით.
3.5 ცენტრის უფროსი:
ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს ცენტრის საქმიანობას;
ბ) წარმოადგენს ცენტრს დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას და პასუხისმგებელია ცენტრზე დაკისრებული მოვალეობებისა და ფუნქციების ჯეროვნად შესრულებაზე;
გ) ხელს აწერს ცენტრში მომზადებულ დოკუმენტებს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახდენს სასწავლებლის ადმინისტრაციული ერთეულების მიერ გამოცემული სამართლებივი აქტების ვიზირებას;
დ) წარმოადგენს ცენტრს სასწავლებლის მართვის ორგანოებთან და სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან;
ე) უზრუნველყოფს სასწავლებლის პერიოდული საერთაშორისო რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალის გამოცემას;
ვ) რექტორის დავალებით, ახორციელებს სხვა უფლება-მოვალეობებს.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

4.1 ცენტრის დებულების გაუქმება, მასში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება სასწავლებლის წესდებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4.2 ცენტრის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.